დამტკიცებულია
პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის
დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის
#05 ბრძანებით

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის
შინაგანაწესი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამების ტრენინგების მსმენელებისთვის

სტატუსი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“ (შემდეგში ინსტიტუტი) შექმნილია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე. ინსტიტუტი დაფუძნებულია 2000 წლის 6 ნოემბერს (ბაფის გამგეობის სხდომის ოქმი #8) და რეგისტრირებულია თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ 2000 წლის 13 დეკემბერს.

ინსტიტუტის იურიდიული მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 61.

მმართველობის ორგანო

ინსტიტუტის მმართველობის ორგანოებია:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრება;
- ინსტიტუტის დირექცია.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ევალება და წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია დირექტორს.

მიზანი და საქმიანობის საგანი

ინსტიტუტის ძირითადი მიზანია ბაფის სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე კანდიდატების გამოცდებისათვის მომზადებაში მხარდაჭერა. ეს მიზანი არ გამორიცხავს სხვა პირების უფლებას მიიღოს განათლება და აიმაღლოს კვალიფიკაცია სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე კანდიდატად რეგისტრაციის გარეშე.

ინსტიტუტის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, მისი საქმიანობის საგანია ტრენინგების ჩატარება სასერტიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში (შემდგომ მოდულები).

ინსტიტუტი ტრენინგებს ახორციელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ტრენინგებში მონაწილეობის წესი

ტრენინგში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საქართველოში ან უცხოეთში მოპოვებული აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება ან, რომელიც პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელია.

ტრენინგში მონაწილეობის მსურველმა პირადი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია უნდა გაიაროს ინსტიტუტში. რეგისტრირებული პირი იწოდება მსმენელად.

ტრენინგში მონაწილეობის მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლების დიპლომის ასლი (თუ უმაღლესი ან პროფესიული სასწავლებელი დამთავრებული აქვს);
- ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტობის შესახებ (თუ უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული არა აქვს);
- ანკეტა (ინსტიტუტის მიერ დადგენილი ფორმით);
- პირადობის მოწმობის ასლი;

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი დირექტორის ბრძანებით დარეგისტრირდება ინსტიტუტში და მიენიჭება მსმენელის სტატუსი.

ინსტიტუტი უფლებამოსილია:

- უარი უთხრას პირს დარეგისტრირებაზე, თუ ის არ აკმაყოფილებს ინსტიტუტის ტრენინგებში მონაწილეობის პირობებს ან/და სრულყოფილად არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს;
- გაატაროს დისციპლინარული ზომები იმ მსმენელების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ შინაგანაწესით დადგენილ წესებს.

ინსტიტუტში მსმენელების დარეგისტრირება ხდება წელიწადში ორჯერ: თებერვლამდე და სექტემბრამდე. მსმენელები მოდულების მიხედვით სასწავლო პროცესში რეგისტრაციას გადიან თებერვლის და სექტემბრის დასაწყისში.

ტრენინგების პროგრამა

ტრენინგების პროგრამა აგებულია ACCA-ს საკვალიფიკაციო პროგრამაზე, რომელიც ქართულ ენაზე ადაპტირებულია ბაფის მიერ.

პროგრამა ითვალისწინებს 13 მოდულის შესწავლას.

ტრენინგების პროგრამა მოიცავს, მსმენელის სურვილის გათვალისწინებით მისი ცოდნის თვითშეფასებას ინსტიტუტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თვითშეფასების მიზანია დაეხმაროს მსმენელს იმის შეფასებაში, რამდენად საფუძვლიანად არის მომზადებული ბაფში გამოცდების ჩასაბარებლად.

თვითშეფასების მიზნით სემესტრული ტესტირება ტარდება სემესტრის ბოლოს, ივნისსა და იანვარში.

ტესტირების მიზანი არ არის მსმენელის ცოდნის შეფასება, მისთვის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად.

პროგრამის ყველა მოდულის დასრულების შემდეგ, მსმენელი მიიღებს პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს (შეფასების ფურცლის გარეშე), თუ შესრულებული იქნება ორივე პირობა:

ა) მსმენელი მონაწილეობდა პროგრამის ყველა მოდულის ტრენინგში; და

ბ) ჩაბარებული აქვს ინსტიტუტის გამოცდები, ინსტიტუტში საგამოცდო სისტემის მოქმედების პერიოდში ან/და ჩაბარებული აქვს ბაფის სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელიც დასტურდება წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე.

ტრენინგები

ყოველ მოდულში ტრენინგი ტარდება სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში ტრენინგი ჩატარდება ყველა მოდულში. სემესტრი მოიცავს 4-4,5 კალენდარულ თვეს

(ინგლისურ სექტორში 3-3,5 კალენდარული თვე). სემესტრი იწყება თებერვალსა და სექტემბერში.

ტრენინგები ტარდება როგორც სამუშაო, ისე გამოსასვლელ დღეებში. სამუშაო დღეებში ტრენინგი მიმდინარეობს 18:10 საათიდან 21:10 საათის ჩათვლით. გამოსასვლელ დღეებში ლექციები ინიშნება 10 საათიდან. დასაშვებია ტრენინგების ჩატარება დისტანციურად.

ჯგუფების შესაქმნელად გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

- მოდულის შერჩევა უნდა მოხდეს ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ ვადებში;
- ჯგუფში მსმენელების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.
- ჯგუფი არ შეიქმნება 8-ზე ნაკლები მსმენელისთვის.

მსმენელთა უფლება-მოვალეობები

მსმენელი ვალდებულია:

- გააფორმოს ხელშეკრულება ინსტიტუტთან;
- აირჩიოს შესასწავლი მოდული და დაესწროს ტრენინგს ჯგუფისთვის დადგენილი გრაფიკის მიხედვით;
- შეასრულოს ტრენინგთან დაკავშირებული მითითებები და დავალებები;
- გადაიხადოს ტრენინგის საფასური ხელშეკრულების შესაბამისად;
- არ მოსწიოს სიგარეტი ინსტიტუტის შენობაში;
- დაიცვას ინსტიტუტის შინაგანაწესი.

მსმენელი უფლებამოსილია:

- მიაწოდოს წინადადება ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, ტრენინგების გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ;
- მონაწილეობა მიიღოს თვითშეფასების მიზნით შუალედურ და სემესტრულ ტესტირებაში;

ტრენინგების ფასი

ტრენინგები ფასიანია. ფასი დადგენილია მოდულების მიხედვით. ტრენინგის ფასის გადახდა ხდება სემესტრის დაწყებამდე ინსტიტუტის საბანკო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის ან ჩარიცხვის გზით.

თუ სემესტრის დაწყების პირველი თვის ბოლომდე (განსაკუთრებულ შემთხვევებში - მომდევნო თვის 10 რიცხვამდე) მსმენელი მიმართავს ინსტიტუტის დირექციას ტრენინგში მონაწილეობის შეჩერების ან მომდევნო სემესტრ(ებ)ში გადატანის სურვილით, ტრენინგის ფასის ¼ მიეკუთვნება მსმენელის მიერ მიღებულ მომსახურებას, ხოლო დანარჩენი თანხა მსმენელს უბრუნდება ან ენახება ტრენინგის გასაგრძელებლად დაბრუნებამდე. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მსმენელს ტრენინგისთვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება და არ ენახება ტრენინგის გასაგრძელებლად დაბრუნების დროისთვის.

ერთსა და იმავე მოდულში განმეორებითი ტრენინგის მსურველი მსმენელისთვის, ფასი განისაზღვრება ტრენინგისთვის დადგენილი ფასის 50 პროცენტის ოდენობით.

ინსტიტუტი უფლებამოსილია:

- დაადგინოს განსხვავებული ტრენინგის ფასი მოდულებისა და სექტორების მიხედვით;
- შეცვალოს დადგენილი ფასი წინა ცვლილებიდან ერთი წლის შემდეგ 10 პროცენტამდე ოდენობით;
- შეცვალოს დადგენილი ფასი 25 პროცენტამდე თუ ფასის წინა ცვლილებიდან გასულია 5 წელზე მეტი.

დისციპლინური ზომები

ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მსმენელის მიმართ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ გამოიყენება დისციპლინური ზომები. დისციპლინური ზომა მიმართულია მსმენელის ეთიკური ნორმების დაცვის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

ინსტიტუტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გამოიყენოს უმაღლესი ადმინისტრაციული ზომა _ მსმენელისთვის ტრენინგებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. უმაღლესი ადმინისტრაციული ზომა გამოიყენება, თუ მსმენელი:

- დაარღვევს სახელშეკრულებო პირობას, ტრენინგის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით;
- შემჩნეული იქნება ინსტიტუტის შენობაში სიგარეტის მოწევაში ან სხვა მსმენელისთვის შეუფერებელ ქცევასა და დისციპლინის დარღვევაში.

დაუშვებელია ტრენინგებში მონაწილეობის უფლებაჩამორთმეული მსმენელის უფლებების აღდგენა.

გარდამავალი დებულებები

2018 წლის 02 ივლისიდან მოქმედი შინაგანაწესის გათვალისწინებით:

- ინსტიტუტში რეგისტრირებული სტუდენტების სტატუსი იცვლება მსმენელის სტატუსით;
- ინსტიტუტიდან გარიცხული სტუდენტისთვის მსმენელის სტატუსის აღდგენა მოხდება საერთი წესით - აღდგენის საფასურის გადახდის გარეშე.

ძალადაკარგულად ითვლება 2018 წლის 02 ივლისამდე ინსტიტუტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც არეგულირებდა სასწავლო პროცესის გაგრძელების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის სტუდენტის გარიცხვისა და ნებისმიერი მიზეზით გარიცხული სტუდენტის სტატუსის აღსადგენად აღდგენის საფასურის გადახდის საკითხებს.

ძალაშია 2020 წლის 01 ივლისიდან.